იაგო კაჭკაჭიშვილი •

სოციალური კაპიტალის სტრუქტურა და მისი გავლენა ქართულ საზოგადოებაზე (რაოდენობრივი კვლევის შედეგები)

აბსტრაქტი

სოციალური კაპიტალი თანამედროვე სოციალური მეცნიერებების ერთ-ერთ ცენტრალურ ანალიტიკურ კონცეფციად მიიჩნევა, რადგან იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნდობის, თანამშრომლობისა და სოციალური ინტეგრაციის პროცესების ახსნაში. მოცემული სტატია იკვლევს სოციალური კაპიტალის სტრუქტურას ქართულ საზოგადოებაში და აანალიზებს მის გავლენას სოციალური ერთიანობისა და გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივებზე. კვლევა ეფუძნება 2025 წელს ჩატარებული ეროვნული მასშტაბის რაოდენობრივი გამოკითხვის მონაცემებს (N = 1100) და სოციალური კაპიტალის ანალიზს ახორციელებს bonding, bridging და linking სოციალური კაპიტალის ანალიტიკური ჩარჩოს გამოყენებით.

კვლევის შედეგები ცხადყოფს სოციალური კაპიტალის ტიპებს შორის მკვეთრ ასიმეტრიას. Bonding სოციალური კაპიტალი განსაკუთრებით ძლიერია, რაც გამოიხატება ოჯახის წევრების, მეზობლებისა და ახლო სოციალური წრის მიმართ მაღალი ნდობით. ამასთანავე, შედარებით სუსტია bridging სოციალური კაპიტალი, რაც აისახება ზოგადი სოციალური ნდობის დაბალ დონესა და ეთნიკური და რელიგიური „სხვის“ მიმართ სოციალურ დისტანციაზე. Linking სოციალური კაპიტალიც მყიფეა და ძირითადად კონცენტრირებულია ტრადიციული და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინსტიტუტების მიმართ ნდობაზე, მაშინ როდესაც პო-

• ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ლიტიკური პარტიებისა და წარმომადგენლობითი ინსტიტუტების მიმართ ნდობა დაბალია.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ქართული საზოგადოება იმყოფება ტრადიციულობისა და მოდერნულობის საზღვარზე. ძლიერი bonding სოციალური კაპიტალი უზრუნველყოფს სოციალურ მდგრადობას მიკრო დონეზე, თუმცა სუსტი bridging და linking სოციალური კაპიტალი ზღუდავს ფართო საზოგადოებრივ თანამშრომლობას, ინსტიტუციურ ნდობასა და ინკლუზიურ განვითარებას. სტატიაში დასკვნის სახით არგუმენტირებულია, რომ სოციალური კაპიტალის დაბალანსებული განვითარება წარმოადგენს კრიტიკულ წინაპირობას საქართველოში დემოკრატიული კონსოლიდაციისა და სოციალური თანასწორობის გასაძლიერებლად.

საკვანძო სიტყვები: სოციალური კაპიტალი; ნდობა; Bonding სოციალური კაპიტალი; Bridging სოციალური კაპიტალი; Linking სოციალური კაპიტალი; ქართული საზოგადოება.

შესავალი

სოციალური კაპიტალი თანამედროვე სოციალური მეცნიერებების ერთ-ერთ ცენტრალურ ანალიტიკურ ცნებად ჩამოყალიბდა, რადგან იგი საშუალებას იძლევა აიხსნას ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები, ნდობის მექანიზმები და სოციალური ინტეგრაციის დონე. სოციალური კაპიტალი არ წარმოადგენს მხოლოდ ინდივიდუალურ რესურსს; იგი კოლექტიური თვისებაა, რომელიც გავლენას ახდენს ინსტიტუციური მდგრადობის, დემოკრატიული მმართველობისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხარისხზე (Putnam, 2000).

პოსტსაბჭოთა საზოგადოებებში სოციალური კაპიტალის საკითხი განსაკუთრებულად აქტუალურია. ინსტიტუციური ტრანსფორმაცია, პოლიტიკური პოლარიზაცია და ისტორიულად ჩამოყა-

ლიბებული უნდობლობა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ქმნის სოციალურ გარემოს, სადაც ნდობის სხვადასხვა ფორმა არათანაბრად არის განვითარებული. საქართველო ამ მხრივ ტიპური მაგალითია: ძლიერი ოჯახური და ჯგუფური კავშირები თანაარსებობს სუსტ ინსტიტუციურ ნდობასთან და შეზღუდულ ჰორიზონტალურ სოციალურ ურთიერთობებთან.

მოცემული სტატიის მიზანია, რაოდენობრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, გაანალიზოს სოციალური კაპიტალის სტრუქტურა საქართველოში bonding, bridging და linking სოციალური კაპიტალის ჭრილში[1] და აჩვენოს, თუ როგორ აისახება მათი ასიმეტრიული განვითარება საზოგადოებრივ ნდობაზე, სოციალური ურთიერთობების ხასიათსა და გრძელვადიან განვითარების პერსპექტივებზე.

მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა საქართველოს სრულწლოვანი (18+) მოსახლეობა. შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა შეადგენდა 1100 რესპონდენტს.[2]

მონაცემების შეგროვება განხორციელდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით. გამოყენებულ იქნა ალბათური, კერძოდ - კლასტერული შერჩევა წინასწარი სტრატიფიკაციით. შერჩევის ცდომილება შეადგენდა ±3%-ს მთლიანი შერჩევისთვის, 95%-იანი სანდოობის

[1] Bonding, bridging და linking სოციალური კაპიტალის შეთანხმებული და საყოველთაოდ გაზიარებული ქართული შესატვისების არ არსებობს. პირობითად მათ ასეთი სახელები შეიძლება მოეძებნოს: შემადუღებელი (Bonding,), შემაკავშირებელი (Bridging) და გამაერთიანებელი (Linking) სოციალური კაპიტალი.

[2] კვლევა განხორციელდა პოლონეთის ვროცლავის უნივერსიტეტთან (University of Wrocław) თანამშრომლობით.

დონეზე. მონაცემები შეწონილი იქნა დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით (სქესი, ასაკი, განათლება, რეგიონი, ქალაქი/სოფელი).

საველე სამუშაოები ჩატარდა 2025 წლის 29 მარტიდან 7 აპრილის ჩათვლით.

თეორიული ჩარჩო: სოციალური კაპიტალის მრავალგანზომილებიანი გააზრება

სოციალური კაპიტალის ცნება ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ განხილული და თეორიულად მრავალმხრივი კონცეფციაა თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებში. იგი განსხვავებულად არის გააზრებული სოციოლოგიაში, პოლიტიკურ მეცნიერებებში, ეკონომიკაში და ინსტიტუციურ კვლევებში, რაც ასახავს ამ ცნების ანალიტიკურ მოქნილობას, მაგრამ ამავდროულად - თეორიულ კომპლექსურობასაც. წარმოდგენილი კვლევა ეყრდნობა სოციალური კაპიტალის ინტეგრირებულ ჩარჩოს, რომელიც აერთიანებს სტრუქტურულ, ურთიერთობით და ძალაუფლებრივ პერსპექტივებს.

ერთ-ერთი ფუნდამენტური თეორიული მიდგომა უკავშირდება პიერ ბურდიეს (Pierre Bourdieu), რომლის მიხედვით სოციალური კაპიტალი წარმოადგენს *რესურსს*, რომელიც ინდივიდებსა და ჯგუფებს გააჩნიათ გამძლე სოციალური ქსელების მეშვეობით (Bourdieu, 1986). ბურდიესთვის სოციალური კაპიტალი განუყოფლად არის დაკავშირებული ეკონომიკურ და კულტურულ კაპიტალთან და წარმოადგენს ძალაუფლების დაგროვებისა და სოციალური უთანასწორობის რეპროდუქციის მნიშვნელოვან მექანიზმს. სოციალური ქსელები ამ კონტექსტში არ არის ნეიტრალური ურთიერთობების ჯამი; ისინი ისტორიულად ჩამოყალიბებული, სტრატეგიულად გამოყენებადი სტრუქტურებია, რომლებიც სხვადასხვა ჯგუფს განსხვავებულ შესაძლებლობებს აძლევს. პრივილეგირებული ჯგუფები უკეთ ახერხებენ საკუთარი სოციალური კაპიტალის კონვერტაციას სხვა კაპიტალებად, რაც აძლიერებს სოციალური სტრატიფიკაციის მდგრადობას. ამგვარად, ბურდიეს მიდგომა გან-

საკუთრებით მნიშვნელოვანია იმ საზოგადოებების ანალიზისთვის, სადაც სოციალური კავშირები მნიშვნელოვან როლს ასრულებს რესურსებზე წვდომაში, ხოლო ინსტიტუციური არხები სუსტია.

სოციალური კაპიტალის უფრო ფუნქციონალისტურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს ჯეიმს კოლემანი (James Coleman), რომელიც მას განიხილავს როგორც სოციალურ სტრუქტურებში ჩაშენებულ რესურსს, რომელიც ამარტივებს ინდივიდთა ქმედებებს და ზრდის კოლექტიური ქმედების ეფექტიანობას (Coleman, 1988). კოლემანის მიხედვით, სოციალური კაპიტალი გამოიხატება ნდობაში, ნორმებში, ურთიერთვალდებულებებსა და ინფორმაციის ნაკადებში, რომლებიც ამცირებს ტრანზაქციულ ხარჯებს და უზრუნველყოფს ქმედებების კოორდინაციას. მისი ანალიზი განსაკუთრებით ფოკუსირებულია ოჯახისა და განათლების კონტექსტზე, სადაც სოციალური კავშირები ხელს უწყობს ადამიანური კაპიტალის დაგროვებას. კოლემანის მიდგომა სოციალურ კაპიტალს განიხილავს, როგორც საზოგადოებრივ სიკეთეს, თუმცა შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობს ძალაუფლებრივ ასიმეტრიებსა და უთანასწორობის რეპროდუქციას.

ყველაზე ფართოდ გავრცელებული და პოლიტიკურად გავლენიანი მიდგომა ეკუთვნის რობერტ პატნემს (Robert Putnam), რომელმაც სოციალური კაპიტალი წარმოაჩინა როგორც დემოკრატიის ხარისხისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორი (Putnam, 1993; 2000). პატნემის მიხედვით, სოციალური კაპიტალი მოიცავს ნდობას, ნორმებსა და ქსელებს, რომლებიც ამარტივებს კოორდინირებულ ქმედებებს საზოგადოებრივი მიზნების მისაღწევად. მის მიერ შემოთავაზებული განსხვავება bonding და bridging სოციალური კაპიტალის შორის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი გახდა ემპირიული კვლევებისთვის. Bonding კაპიტალი აძლიერებს შიდა სოლიდარობას ჰომოგენურ ჯგუფებში, ხოლო Bridging კაპიტალი ქმნის კავშირებს განსხვავე-

ბულ სოციალურ ჯგუფებს შორის და ხელს უწყობს ინკლუზიურობასა და სოციალურ ინტეგრაციას.

ამ დიქოტომიას მოგვიანებით დაემატა **linking სოციალური კაპიტალის** კონცეფცია, რომელიც უკავშირდება ვერტიკალურ ურთიერთობებს მოქალაქეებსა და ინსტიტუციურ ძალაუფლებრივ სტრუქტურებს შორის (Michael Woolcock, 1998). Linking კაპიტალი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია განვითარების კონტექსტში, რადგან იგი ასახავს მოქალაქეთა შესაძლებლობას, დაამყარონ ლეგიტიმური, ნდობაზე დაფუძნებული კავშირები სახელმწიფოსთან, ბაზართან და სხვა ფორმალურ ინსტიტუტებთან.

თანამედროვე ემპირიული კვლევები მიუთითებს, რომ პოსტსოციალისტურ და ტრანზიციულ საზოგადოებებში ხშირია სოციალური კაპიტალის ასიმეტრიული სტრუქტურა - ძლიერი Bonding და სუსტი Bridging და Linking კაპიტალი (Woolcock & Narayan, 2000). ასეთი კონფიგურაცია ხშირად უკავშირდება ინსტიტუციურ უნდობლობას, სახელმწიფოს ლეგიტიმაციის დეფიციტს და სოციალურ ფრაგმენტაციას. შედეგად, სოციალური კაპიტალი ერთდროულად ასრულებს გადარჩენისა და შეზღუდვის ფუნქციას: იგი უზრუნველყოფს ინდივიდებისა და ოჯახების გამძლეობას, მაგრამ ამავდროულად აფერხებს ფართო კოლექტიურ ქმედებასა და ინკლუზიურ განვითარებას.

ამ თეორიული ჩარჩოს ფარგლებში, სოციალური კაპიტალი არ განიხილება როგორც ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური რესურსი. პირიქით, იგი გააზრებულია როგორც კონტექსტზე დამოკიდებული სოციალური სტრუქტურა, რომლის გავლენა საზოგადოებრივ განვითარებაზე დამოკიდებულია მის შიდა ბალანსზე, ინსტიტუციურ გარემოზე და ძალაუფლებრივ ურთიერთობებზე. სწორედ ამ პერსპექტივიდან ხდება მოცემულ კვლევაში ქართული საზოგადოების სოციალური კაპიტალის სტრუქტურის ანალიზი - როგორც მარგინალური მოდერნულობის პირობებში ჩამოყალიბებული ურთიერთობითი წესრიგი.

კვლევის ემპირიული შედეგები

1. ნდობა ინსტიტუტების მიმართ (Linking Capital)

როგორც ითქვა, linking social capital აღწერს კაშირებს, რომლებიც ადამიანებს/ჯგუფებს გააჩნიათ ფორმალური ინსტიტუტების მიმართ.

კვლევა აჩვენებს, რომ ყველაზე მაღალი ნდობით გამოირჩევა: ა) მართლმადიდებელი ეკლესია (არ ენდობა 9.1%, ენდობა 77%) და ბ) ჯარი (არ ენდობა 12.2%, ენდობა 72%).

ნდობა აჭარბებს (თუმცა, უმრავლესობას ვერ იღებს) უნდობლობას შემდეგი ინსტიტუტების მიმართ:

- ✓ პოლიცია (არ ენდობა 28.3%, ენდობა - 51.3%)
- ✓ საჯარო სამსახურები არ ენდობა 25.7%, ენდობა 48.3%)
- ✓ განათლების სისტემა (არ ენდობა 27.1%, ენდობა - 48.9%)
- ✓ რეგიონეული და ადგილობრივი ხელისუფლებები (არ ენდობა 29.2%, ენდობა 44%)
- ✓ ნატო (არ ენდობა 21.9%, ენდობა 49.5%)
- ✓ გაერო (არ ენდობა 19.1%, ენდობა - 48.5%)

ნდობის თვალსაზრისით **პოზიციები გაყოფილია** შემდეგი ინსტიტუტების მიმართ:

- ✓ სასამართლო (არ ენდობა 32.9%, ენდობა 41.2%)
- ✓ სამთავრობო მედია (37.8% არ ენდობა; 36% ენდობა)
- ✓ მთავრობის მიერ არაკონტროლირებადი მედია (არ ენდობა 39.4%, ენდობა 29.3%)
- ✓ არასამთავრობო ორგანიზაციები (არ ენდობა 33.7%, ენდობა 34.5%)

უნდობლობა აჭარბებს (თუმცა, უმრავლესობას ვერ იღებს) ნდობას შემდეგი ინსტიტუტების მიმართ:

- ✓ პოლიტიკურ პარტიები (არ ენდობა 48.5%, ენდობა 20.6%).

შედეგები იხ. დიაგრამაზე #1:

დიაგრამა #1

ინსტიტუციური ნდობის ჩამოყალიბება (Linking Capital)



2. Bridging სოციალური კაპიტალი

Bridging სოციალური კაპიტალი უზრუნველყოფს კავშირებს სხვადასხვა, დისტანციაზე მყოფ სოციალურ ჯგუფებს/ინდივიდებს შორის.

კვლევა აჩვენებს, რომ რესპონდენტთა პოზიციები გაყოფილია: ერთი ნაწილი (38.8% ამბობს, რომ ადამიანთა უმეტესობას შეიძლება ვენდოთ, ხოლო მეორე ნაწილი (39.5%) ფიქრობს, რომ ადამიანთა მიმართ დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ

მეორე მხრივ, ვითარება **უნდობლობისკენ იხრება,** როდესაც საქმე ეხება სხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების მიმართ ნდობას: ა) 40% ამბობს, რომ ეთნიკური არაქართელების მიმართ სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, ხოლო დაახლოებით მესამედი მიიჩნევს, რომ არაქართველების მიმართ ნდობა შეიძლება; ბ) ასეთივე ვითარებაა სხვა რელიგიური ჯგუფების შემთხვევაში.

შედეგები იხ. დიაგრამაზე #2:

დიაგრამა #2

შეკავშირება (Bridging Capital)



3. Bonding სოციალური კაპიტალი

Bonding სოციალური კაპიტალი აღწერს კავშირებს იმ ადამიანებს შორის, რომლების პირველადი სოციალური ჯგიფის წევრები არიან, ან საერთო სტატუსები გააჩნიათ, მაგალითად კავშირებს ოჯახის წევრებს, მეგობრებს შორის, ან იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ერთი და იგივე ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის წევრები არიან.

კვლევის თანახმად, ოჯახის, მეზობლების და პირადი ნაცნობების მიმართ ნდობა ერთმიშვნელოვნად გამოკვეთილია

შედეგები იხ. დიაგრამაზე #3:

დიაგრამა #3

შედუღაბება (Bonding Capital)



დისკუსია: ემპირიული მიგნებების ინტერპრეტაცია სოციალური კაპიტალის თეორიების ჭრილში

მოცემული კვლევის ემპირიული შედეგები ნათლად აჩვენებს, რომ ქართული საზოგადოების სოციალური კაპიტალის სტრუქტურა ხასიათდება აშკარა ასიმეტრიით: ძლიერი Bonding სოციალური კაპიტალი თანაარსებობს სუსტ Bridging და Linking კაპიტალთან. ამ კონფიგურაციის გააზრება შეუძლებელია სოციალური კაპიტალის კლასიკური თეორიების გარეშე, რადგან თითოეული მათგანი განსხვავებულ, მაგრამ ურთიერთშემავსებელ განმარტებით ჩარჩოს გვთავაზობს.

კვლევის მიგნებები პირველ რიგში რეზონანსში მოდის პიერ ბურდიეს კონცეფციასთან, რომლის მიხედვით სოციალური კაპიტალი წარმოადგენს ძალაუფლებრივ რესურსს, რომელიც ჩაშენებულია გამძლე სოციალურ ქსელებში (Bourdieu, 1986). ემპირიული მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოში მჭიდრო ოჯახური და ნათესაური კავშირები მნიშვნელოვან როლს ასრულებს რესურსებზე წვდომაში, ინფორმაციის მიმოქცევასა და სოციალური უსაფრთხო-

ების უზრუნველყოფაში. ამ კავშირების ფუნქციონირება ხშირად ანაცვლებს ფორმალურ ინსტიტუციურ მექანიზმებს, რაც მიუთითებს არა მხოლოდ სოციალური სოლიდარობის სიმძლავრეზე, არამედ ინსტიტუციური სისუსტის სტრუქტურულ კომპენსაციაზეც. ბურდიეს ლოგიკის შესაბამისად, ასეთი სოციალური კაპიტალი არ არის თანაბრად ხელმისაწვდომი: განსხვავებული სოციალური ჯგუფები განსხვავებული ინტენსივობითა და ეფექტიანობით იყენებენ საკუთარ ქსელებს, რაც ხელს უწყობს არსებული სოციალური უთანასწორობების რეპროდუქციას.

ამავე დროს, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სოციალური კაპიტალი საქართველოში იშვიათად გადადის ჯგუფთაშორისი თანამშრომლობის დონეზე. ეს მიგნება ეხმიანება ჯეიმს კოლემანის ფუნქციონალისტურ ხედვას, რომლის მიხედვით სოციალური კაპიტალი ამარტივებს ინდივიდთა ქმედებებს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ჩაშენებულია ფართო სოციალურ სტრუქტურებში და ემყარება გაზიარებულ ნორმებსა და ნდობას (Coleman, 1988). ემპირიული მონაცემები მიუთითებს, რომ საქართველოში ნდობა და ურთიერთვალდებულებები ძირითადად ლოკალიზებულია ოჯახის ან მცირე სოციალური ჯგუფის ფარგლებში. შესაბამისად, სოციალური კაპიტალი ეფექტიანია მიკრო დონეზე - ოჯახისა და ახლო წრის კონტექსტში - მაგრამ ვერ ქმნის კოლექტიური ქმედების მდგრად პირობებს მეზო და მაკრო დონეებზე.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა ემპირიული მიგნებების თანხვედრა რობერტ პატნემის მიერ შემოთავაზებულ განსხვავებასთან bonding და bridging სოციალური კაპიტალის შორის (Putnam, 1993; 2000). კვლევა ადასტურებს, რომ ქართული საზოგადოება გამოირჩევა მაღალი bonding კაპიტალით, რაც უზრუნველყოფს შიდა სოლიდარობას, მაგრამ ამავდროულად ზღუდავს ურთიერთობების გაფართოებას განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებს შორის. ეთნიკური, რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური საზღვრები იშვიათად გადაილახება ყოველდღიურ სოციალურ

პრაქტიკებში, რაც ამცირებს გენერალიზებული ნდობის ფორმირებისა და ინკლუზიური სამოქალაქო სივრცის განვითარების შესაძლებლობას.

ამ სურათს კიდევ უფრო ამძაფრებს **linking სოციალური კაპიტალის** დეფიციტი, რომელიც უკავშირდება მოქალაქეებსა და ინსტიტუციურ ძალაუფლებრივ სტრუქტურებს შორის სუსტ ვერტიკალურ კავშირებს (Michael Woolcock, 1998). კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები, საჯარო პროგრამები და ბაზრის ფორმალური მექანიზმები ხშირად არ აღიქმება, როგორც ნდობაზე დაფუძნებული პარტნიორები. ამის შედეგად, ინდივიდები მიმართავენ არაფორმალურ ლიდერებსა და პირად კავშირებს, რაც აძლიერებს კლიენტელისტურ პრაქტიკებს და ამცირებს ინსტიტუციური წესრიგის ლეგიტიმაციას.

თეორიულად მნიშვნელოვანი ისიც არის, რომ ძლიერი Bonding კაპიტალი ამ კონტექსტში არ მოქმედებს როგორც Bridging ან Linking კაპიტალის საფუძველი. პირიქით, იგი ხშირად ფუნქციონირებს როგორც დახურული რესურსი, რომელიც იცავს ჯგუფურ ინტერესებს და ამცირებს ცვლილებებისადმი ღიაობას. ეს მიგნება შეესაბამება იმ კვლევებს, რომლებიც პოსტსოციალისტურ საზოგადოებებში სოციალური კაპიტალის „გადარჩენის ლოგიკაზე“ მიუთითებს (Woolcock & Narayan, 2000). ასეთ პირობებში სოციალური კაპიტალი ერთდროულად უზრუნველყოფს ინდივიდუალურ გამძლეობას და აფერხებს სტრუქტურულ ტრანსფორმაციას.

ამრიგად, ემპირიული მონაცემები ადასტურებს, რომ საქართველოში სოციალური კაპიტალი ვერ განიხილება ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურ რესურსად. იგი წარმოადგენს კონტექსტზე დამოკიდებულ სოციალურ სტრუქტურას, რომლის გავლენა საზოგადოებრივ განვითარებაზე განისაზღვრება არა მისი მოცულობით, არამედ შიდა ბალანსით Bonding, Bridging და Linking ფორმებს შორის. ძლიერი ოჯახური და ჯგუფური კავშირები უზრუნველყოფს მოკლევადიან სოციალურ უსაფრთხოებას, თუმცა Bridging და

Linking კაპიტალის დეფიციტი ზღუდავს გრძელვადიან დემოკრატიულ, ეკონომიკურ და ინსტიტუციურ განვითარებას.

ამგვარი თეორიულ-ემპირიული ინტეგრაცია საშუალებას იძლევა ქართული საზოგადოება გავიაზროთ როგორც **მარგინალური მოდერნულობის** შემთხვევა, სადაც სოციალური კაპიტალი ასრულებს როგორც სტაბილიზაციის, ისე შეზღუდვის ფუნქციას. სწორედ ამ დუალიზმის გააზრება წარმოადგენს კვლევის მთავარ ანალიტიკურ წვლილს.

პოლიტიკის რეკომენდაციებზე ორიენტირებული დასკვნა

კვლევის შედეგებს მნიშვნელოვანი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საჯარო პოლიტიკის, განვითარების პროგრამებისა და ინსტიტუციური რეფორმების დაგეგმვისთვის.

პირველ რიგში, პოლიტიკურმა ჩარევებმა მიზანმიმართულად უნდა შეუწყოს ხელი Bridging სოციალური კაპიტალის გაძლიერებას. ეს გულისხმობს განსხვავებულ სოციალურ, ეთნიკურ და ეკონომიკურ ჯგუფებს შორის თანამშრომლობის სტიმულირებას სტრუქტურირებული პლატფორმების მეშვეობით - მათ შორის მონაწილეობითი განვითარების პროგრამების, ადგილობრივი სამოქალაქო ინიციატივებისა და ინკლუზიური საზოგადოებრივი სივრცეების შექმნას. ამგვარი მიზანმიმართული ჩარევის გარეშე Bonding კავშირები დარჩება დახურული და პოტენციურად გამყოფი.

მეორე, Linking სოციალური კაპიტალის აღდგენა უნდა განიხილებოდეს როგორც მმართველობის რეფორმის ცენტრალური კომპონენტი. ეს მოითხოვს არა მხოლოდ ინსტიტუციური ეფექტიანობის ზრდას, არამედ მათი ლეგიტიმაციისა და ხელმისაწვდომობის გაძლიერებას მოქალაქეთა თვალში. გამჭვირვალე გადაწყვეტილების მიღება, თანმიმდევრული წესების აღსრულება და ინკლუზიური სერვისების მიწოდება აუცილებელი წინაპირობაა ინსტიტუციური ნდობის აღსადგენად.

მესამე, განვითარების პოლიტიკებმა უნდა აირიდოს არაფორმალურ ლიდერებსა და პირად ქსელებზე გადაჭარბებული დამოკიდებულება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ მიდგომებს შეიძლება მოკლევადიანი ეფექტიანობა ჰქონდეს, ისინი გრძელვადიან პერსპექტივაში აძლიერებს კლიენტელიზმს და ასუსტებს ინსტიტუციურ შესაძლებლობებს. ამის ნაცვლად, საჭიროა ინსტიტუციური სწავლების, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქე–სახელმწიფოს ფორმალური ურთიერთობების თანდათან გამყარება.

მეოთხე, სოციალური კაპიტალი უნდა იქცეს პოლიტიკის დაგეგმვისა და შეფასების ანალიტიკურ კატეგორიად. სხვადასხვა ტიპის სოციალური კაპიტალის ურთიერთქმედების გააზრება საშუალებას მისცემს პოლიტიკის შემმუშავებლებს წინასწარ დაინახონ პოტენციური რისკები - მათ შორის მარგინალიზებული ჯგუფების გამორიცხვა ან რეფორმების მიმართ წინააღმდეგობა.

დაბოლოს, კვლევა მიუთითებს, რომ საქართველოში გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიებმა უნდა გადააბიჯოს ეკონომიკურ ან ადმინისტრაციულ რეფორმებზე ვიწრო ფოკუსს და მიიღოს ურთიერთობითი (relational) პერსპექტივა. ინკლუზიური სოციალური კავშირებისა და ინსტიტუციური ნდობის გაძლიერება არ წარმოადგენს მეორეხარისხოვან ამოცანას; იგი არის მდგრადი, თანასწორი და რეზილენტური განვითარების აუცილებელი წინაპირობა.

გამოყენებული ლიტერატურა

Bourdieu, P. (1986). The forms of capital. In J. G. Richardson (Ed.), *Handbook of theory and research for the sociology of education* (pp. 241–258). Greenwood Press.

Coleman, J. S. (1988). Social capital in the creation of human capital. *American Journal of Sociology, 94*(Supplement), S95–S120. https://doi.org/10.1086/228943

Coleman, J. S. (1990). *Foundations of social theory*. Harvard University Press.

Newton, K. (2001). Trust, social capital, civil society, and democracy. *International Political Science Review, 22*(2), 201–214. https://doi.org/10.1177/0192512101222004

Portes, A. (1998). Social capital: Its origins and applications in modern sociology. *Annual Review of Sociology, 24*, 1–24. https://doi.org/10.1146/annurev.soc.24.1.1

Putnam, R. D. (1993). *Making democracy work: Civic traditions in modern Italy*. Princeton University Press.

Putnam, R. D. (2000). *Bowling alone: The collapse and revival of American community*. Simon & Schuster.

Uslaner, E. M. (2002). *The moral foundations of trust*. Cambridge University Press.

Woolcock, M. (1998). Social capital and economic development: Toward a theoretical synthesis and policy framework. *Theory and Society, 27*(2), 151–208. https://doi.org/10.1023/A:1006884930135

Woolcock, M., & Narayan, D. (2000). Social capital: Implications for development theory, research, and policy. *The World Bank Research Observer, 15*(2), 225–249. https://doi.org/10.1093/wbro/15.2.225

Iago Kachkachishvili

The Structure of Social Capital and Its Impact on Georgian Society (Results of Quantitative Research)

Abstract

Social capital has become a central analytical concept in contemporary social sciences due to its explanatory power in understanding trust, cooperation, and social integration within societies. This article examines the structure of social capital in Georgian society

and its implications for social cohesion and long-term development. Drawing on data from a nationwide quantitative survey conducted in 2025 (N = 1,100), the study analyzes social capital through the analytical framework of bonding, bridging, and linking social capital.

The findings demonstrate a pronounced asymmetry in the distribution of social capital types. Bonding social capital is strongly developed, as evidenced by high levels of trust toward family members, neighbors, and close personal networks. In contrast, bridging social capital remains weak, reflected in limited generalized trust and heightened social distance toward ethnic and religious out-groups. Linking social capital is also fragile, with institutional trust concentrated primarily in traditional and security-related institutions, while political parties, media, and representative institutions exhibit notably low levels of public confidence.

The results suggest that Georgian society is situated at the intersection of traditional and modern social orders. While strong bonding social capital provides social security and resilience at the micro level, weak bridging and linking social capital constrain broader social cooperation, institutional legitimacy, and inclusive development. The article argues that this imbalance limits collective action across social boundaries and poses challenges for democratic consolidation and social equality. Strengthening bridging and linking social capital emerges as a key prerequisite for fostering inclusive, trust-based, and sustainable social development in Georgia.

Keywords: Social capital; Trust; Bonding social capital; Bridging social capital; Linking social capital; Georgian society